

აღმზრდელობით-საგანმანათლებლო კონცეფცია

საბავშვო ბალი

"ბასტი ბუბუ"

ემყარება ჰუმანური პედაგოგიკის
საფუძვლებს

ბუშეტი 2012

10.08-24.08

შესავალი

საბავშვო ბალის "ბასტი ბუბუ"-ს მთლიანი ცხოვრება, აღმზრდელობითი, განმავითარებელი და სასწავლო პროცესები და მათი შინაარსი ჰქონილი პედაგოგიკის იდეებს ემყარება. ჰქონილი პედაგოგიკა არის მოზარდში პიროვნების აღზრდის თეორია და შემოქმედებითი პრაქტიკა. მისი ძირითადი ცნებაა სულიერი ჰქონილი პედაგოგიურ პროცესს ამ ცნებიდან გამომდინარე შინაარსის და საშუალებათა სისტემა განსაზღვრავს.

ჰქონილი პედაგოგიკის ძირითადი იდეებია:

- აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის სულიერი ერთობა, თანამშრომლობა და თანაშემოქმედება, უშუალობა და გულითადობა;
- ბავშვის სულის, გულისა და გონების გაკეთილშობილებასა და გაფაქიზებაზე ზრუნვა;
- ბავშვის აღზრდა ცხოვრებისათვის და ცხოვრების მეშვეობით;
- ბავშვთან ურთიერთობაში დიალოგის პრინციპის დაცვა;
- ბავშვისათვის თავისუფალი არჩევანის განცდის მინიჭება;
- ბავშვთან ურთიერთობაში შემოქმედებითი მოთმინების პრინციპით ხელმძღვანელობა.

ჰქონილი პედაგოგიკა ემყარება შემდეგ აქსიომატიკას:

- სიყვარული სიყვარულით აღიზრდება;
- სიკეთე სიკეთით აღიზრდება;
- კეთილშობილება კეთილშობილებით აღიზრდება;
- თავაზიანობა თავაზიანობით აღიზრდება;
- პიროვნებას პიროვნება ზრდის და ა.შ.

ჰქონილი პედაგოგიური პროცესი ბავშვის ჯანმრთელობისათვის პროფილქტიკური და სამკურნალოა. იგი მას უქმნის შინაგანი თანხმობის, სიხარულის, სიყვარულის, პატივისცემისა და წარმატების განწყობილებას.

ჰქონილი პედაგოგიკა იზიარებს კლასიკურ სიბრძნეს:

- ჩვენი სული ზეციური წარმოშობისაა;
- სულიერება არის მარადიული და უკვდავი ყოფიერების საფუძველი;
- ბავშვი არის მიკროკოსმოსი, რომელსაც შეუძლია მოიცვას მაკროკოსმოსი;
- ბავშვში იმთავითვე ჩათესილია მისი მომავალი პიროვნების თესლი;
- ბავშვები არ ემზადებიან ცხოვრებისათვის, ისინი უკვე ცხოვრობენ;
- სიყვარულში ბავშვი ორჯერ უფრო სწრაფად იზრდება;
- სულიერი ერთიანობის გარეშე შეუძლებელია ბავშვის აღზრდა;
- სულისა და ზნეობრიობის აღზრდა განათლების საფუძველია;
- უფროსთან თანამშრომლობაში ბავშვი გაცილებით ძლიერ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს ავლენს, ვიდრე როცა ის დამოუკიდებლად აკეთებს რამეს.

ჰუმანური პედაგოგიკა თველის, რომ:

- ბავშვი არის მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში;
- მას თან მოაქვს საკუთარი დანიშნულება, გზა, მისია;
- მისი სულის ენერგია და სულიერი სრულყოფის შესაძლებლობები განუსაზღვრელია;

ბავშვის ფსიქოლოგიური ბუნებიდან ჰუმანური პედაგოგიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის მოთხოვნილებებსა და სწრაფვას:

- განვითარებისკენ;
- დიდობისკენ;
- თავისუფლებისაკენ.

ჰუმანური პედაგოგიკა თავისი განხორციელების პირობად მიიჩნევს, პირველ რიგში, აღმზრდელს, და მხოლოდ ამის შემდეგ - შინაარსს, ხერხებს, მეთოდებს და ფორმებს.

მიზანი და ამოცანები

ჰუმანური პედაგოგიური პროცესის ძირითადი მიზანია მოზარდ თაობაში კეთილშობილებისა და დიდსულოვნების აღზრდა. ეს საქმე იწყება ადრეული ასაკიდანვე ოჯახში და გრძელდება საბავშვო ბალსა და სკოლაში.

საბავშვო ბალში "ბასტი ბუბუ" კეთილშობილებისა და დიდსულოვნების აღზრდა შემდეგ თამეტიკურ შინაარსს მოიცავს:

- "გიყვარდეს მოყვასი შენი";
- "მოექეცი ადამიანებს ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ";
- "ენა ტკბილად მოუბარი";
- "იჩქარე ჩაიდინო სიკეთე";
- გულწრფელი თავაზიანობა;
- თანაგრძნობა და დახმარება;
- მშვენიერების განცდა და სილამაზის შექმნის მოთხოვნილება.

გარდა ამისა, ჰუმანურ პედაგოგიურ პროცესში წდება ბავშვის საერთო და შემეცნებითი ძალების განვითარება, დიდიობისა და თავისუფლების მოთხოვნილებათა დაკამაყოფილება.

4-6 წლის ბავშვები იძენენ სასკოლო ცხოვრებისათვის აუცილებელ ცოდნას, ეუფლებიან სასწავლო-შემეცნებითი მოქმედებებისათვის საჭირო უნარებს, კოლექტიური თანაცხოვრების წესებს.

აღზრდის ამოცანებში შედის აგრეთვე ბავშვის დარღვეული ქცევებისა და მეტყველების მოწესრიგება, "ჩემიას" განცდისაგან გათავისუფლება, აგრესიულობის მოშლა, სხვა მსგავს გამოვლენათაგან თავის დაღწევა.

აღმზრდელი

საბავშვო ბალში "ბასტი ბუბუ" ჰუმანური პედაგოგიკის იდეათა განხორცილების მთელი იმედი დამყარებულია აღმზრდელის პიროვნებაზე, და მხოლოდ ამის შემდეგ - მეთოდურ საშუალებათა სისტემაზე. თუ ჰუმანური პედაგოგიკის იდეა და ცნებები აღმზრდელის შინაგან სამყაროში ჩასახლდება, მის სულიერ მდგომარეობად იქცევა, მაშინ მის ხელში მეთოდიკური სისტემაც აზრს შეიძენს. წინააღმდეგ შემთხვევაში საუკეთესოდ ცნობილი მეთოდიც კი ავტორიტარული აღმზრდელის ხელში ბავშვთა მანიპულირების საშუალებად იქცევა.

ჰუმანური პედაგოგიკა ღებულობს კლასიკურ დებულებას: აღმზრდელი თვით უნდა იყოს აღზრდილი.

აღმზრდელი არის კეთილშობილებისა და დიდსულოვნების, გულწრფელობისა და თანაგრძნობის, კეთილმეტყველებისა და სიკეთის, თავშეკავებისა და თანამშრომლობის ნიმუში.

ამ და სხვა შესაბამის თვისებებს იგი ავლენს თავის ყოველდღიურ ურთეირთობებში ბავშვებთან, მათ მშობლებთან, კოლეგებთან, საკუთარი ოჯახის წევრებთან და, საერთოდ, ყველასთან.

საბავშვო ბალის "ბასტი ბუბუს" აღმზრდელი:

- თავაზიანი, ყურადღებიანი, გულისხმიერია;
- ლაპარაკობს წყნარად, მშვიდად (არ ხმაურობს, არ ყვირის, ხელებს არ იქნევს);
- ყოველი ბავშვისთვის მზად აქვს ღიმილი, ალერსი, წამახალისებელი სიტყვა, კეთილი დარიგება;
- არ იცის გაწყრომა, გაბრაზება, დამუქრება;
- ფლობს შემოქმედებით მოთმინებას;
- შრომობს შემოქმედებითად, იმდიდრებს ცოდნას შესაბამისი ღიტერატურის კითხვით;
- განუწყვეტლივ სრულყოფს საკუთარ ხასიათს;
- სრულყოფს პედაგოგიურ ხელოვნებას;
- ხელმძღვანელობს ჰუმანური პედაგოგიკის აქსიომატიკით.

საბავშვო ბალის "ბასტი ბუბუ" აღმზრდელს:

- გულწრფელად უყვარს ყოველი ბავშვი და ერთგულია მისი;
- გრძნობს ღრმა პასუხისმგებლობას ყოველი ბავშვის მომავლის მიმართ;
- ცდილობს გაუგოს და გვერდში ედგას ყოველ მათგანს;

საბავშვო ბალში "ბასტი ბუბუ" 60-70 ბავშვია. ბავშვები დაყოფილია აგუზებად. თითოეულ ჯგუფში 15-18 ბავშვია. ყველა ჯგუფს ჰყავს ერთი აღმზრდელი და ერთიძის.

აღმზრდელობით-საგანმანათლებლო შინაარსის გეგმა

საბავშვო ბალი "ბასტი ბუბუ" ახორციელებს აღმზრდელობით-საგანმანათლებლო შინაარსს შემდეგი მიმართულებებისა და გეგმის შესაბამისად:

| № | მიმართულება | მეცადინეობათა რაოდენობა | გეგმის გარეშე |
|----|---|----------------------------|--------------------------------------|
| I | მეტყველების განვითარება. კითხვისა და წერისათვის მომზადება. | 3 | ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი |
| 2 | მათემატიკურ წარმოდგენათა განვითარება | 2 | სამშაბათი, ხუთშაბათი |
| 3 | შეხვედრები ბაზილინასთან: ზღაპრების კითხვა, საუბრები, სიმღერა, ცეკვა, მუსიკალურ- ჰილასტიკური იმპროვიზაციები | 2 | ორშაბათი, პარასკევი |
| 4 | თამაშები | 3 | ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი |
| 5 | უცხო ენები | ყოველ დღე | |
| 6 | მულტფილმების ნახვა და განხილვა | ყოველ დღე | |
| 7 | წატვა, აპლიკაცია, ძერწვა | I | |
| 8 | ფიზიკური ვარჯიში | ყოველ დღე | |
| 9 | შრომითი საქმიანობა | I | |
| 10 | გარემომცველი სამყაროს გაცნობა, ურთიერთობა | I | |
| II | გასეირნება | ყოველ დღე | |

ეს აღმზრდელობით-საგანმანათლებლო გეგმა არ ამოწურავს საბავშვო ბალში ბავშვთა ცხოვრების ყველა მხარეს. იმის მიხედვით, თუ როგორი პირობები იქმნება, შეიძლება მისი კორექტირება.

აღმზრდელობით-საგანმანათლებლო შინაარსის ძირითადი ცნებები

I. მეტყველების განვითარება. კითხვისა და წერისათვის მომზადება.

მეტყველების განვითარება.

- მშვიდი, თავშეკავებული, დაფიქრებული ლაპარაკი;
- აზრის სრულად, თანმიმდევრულად გამოთქმა;
- სიტყვების სწორი წარმოთქმა;
- სიტყვათა მარაგის გამდიდრება;
- მეტყველების გასუფთავება შეუფერებელი ლექსიკისაგან, კილოკავებისაგან;
- კეთილმეტყველება, თავაზიანობა;
- მეტყველებითი ურთიერთობა.

კითხვისათვის მომზადება.

- სიტყვისა და წინადადების წაკითხვისათვის საჭირო მოქმედებათა დაუფლება;
- სიტყვის ობიექტივაცია (გაცნობიერება, დანახვა), სიტყვებში ბგერათა შემჩნევა, ბგერათა თანმიმდევრობაზე დაკვირვება (სიტყვის ბგერითი ანალიზი);

სავარჯიშოთა ნიმუში

ბავშვებს ვთხოვთ ხელები ჯამივით დაიჭირონ და შიგ ნელა და რამდენჯერმე ჩაილაპარაკონ სიტყვა მზე, თან დააკვირდნენ, რა თანმიმდევრობით და რა ბგერებისაგან შედგება სიტყვა. ვუჩვენებთ მაგალითს.

- მმმზზე... - ამბობენ ბავშვები
- რომელი ბგერა გესმით პირველად?
- მმმზზე... მ.
- აი ეს მუყაოს კვადრატი იყოს ბგერა "მ"...

აღმზრდელი თვალსაჩინო ადგილას (სჯობს დაფასთან) დებს მუყაოს კვადრატს (10 x 10 სმ.), - მაშ, ეს რა ბგერა?


- მ.
- ახლა ისევ ჩავილაპარაკოთ სიტყვა "მზე" და დავაკვირდეთ, რომელია შემდგომი ბგერა...

**შემდგომი ბგერა...
- მმმზზე... ჟ...
- წაემოვთქვათ ეს ბგერა გარკვევით!
- ეს მუყაოს კვადრატი იყოს ბგერა "%"... - პირველის გვერდით დებს მეორე კვადრატს, - ეს რა ბგერაა?**

- ჟ...
- ვცადოთ წავიკითხოთ ეს ორი ბგერა...
- მ%... მ%...
- კიდევ ჩავილაპარაკოთ სიტყვა და მოვნახოთ, რა ბგერა მოჰყვება "%"-ს?
- მმმზზე... ე.
- ეს მუყაო კიდევ ბგერა "ე" იყოს. - ვდებთ მესამე კვადრატს პირველი ორის გვერდით.

ბავშვები ისევ ჩაილაპარაკებენ სიტყვას და არკვევენ, რომ ამ სიყვაში მეტი ბგერა აღარ არის.

გამოსაჩენ ადგილას თანმიმდევრულად აწყვია სამი კვადრატი:



ვაძლევთ კითხვებს:


- რა სიტყვა წერია აქ? ("მზე")... რმელია პირველი ბგერა? ("მ")... რომელია მესამე ბგერა? ("ე")... მეორე ბგერა? ("ზ")... ამ სიტყვიდან ამოვიღე შუა ბგერა ("ზ")... ახლა რა წერია აქ? (მ... ე... მე...)...

ამავე წესით ვააღიზებთ სიტყვებს: "ცა", "დღე", "დამე", "მიწა", "მთა", "დედა"...

- ანბანის პალიტრის გაცნობა;

სავარჯიშოთა ნიმუშები

ვუჩვენებთ ანბანს დაფაზე, ან თვალსაჩინო მასალათა საშუალებით.
მაგალითად, დაფაზე წინსაწარ ვამზადებთ ერთ-ერთ ასეთ სურათს:



- შეხედეთ, რა ლამაზია ქართული ასოები! მოდით, ვისწავლოთ და დავიხსომოთ, რომელი რომელია.

შემდეგ მივუთითებთ რომელიმე მათგანზე და ვეკითხებით:

- რა ასოა ეს?

თუ ბავშვებმა თავად იციან, ხომ კარგი, თუ არა და ჩვენ ვეუბნებით. თუმცა ბავშვებს წარვუდგენთ სრულ ანბანს, მაგრამ ერთ მეცადინეობაზე (3-4 წუთის განმავლობაში) ვასწავლით და ვამეორებინებთ რამდენიმე მათგანს. 7-10 მეცადინეობის შემდეგ ბავშვებს ეცოდინებათ ყველა ასო.

ბავშვებს ვავარჯიშებთ ე.წ. ამოსაღები ანბანის გამოყენებით. ვთხოვთ ამოიღონ დასტილან ნებისმიერი მუყაო და გვესაუბრონ ასოსა და სურათზე, რაც მასზეა გამოსახული.

- წინადადების ობიექტივაცია; წინადადებაში შემავალ სიტყვათა თან-
მიმდევრობაზე დაკვირვება;


სავარჯიშოთა ნიმუში

ვეუბნებით ვ სიტყვიან წინადადებას, ვთქვათ: "მზიანი დილა გათენდა". ვთხივთ წყნარად, ჩვენთან ერთად, ჩაილაპარაკონ წინადადება სიტყვათა გამოყოფით.

ვაძლევთ კითხებს:

- რომელია ამ წინადადებაში პირველი სიტყვა?.. მეორე სიტყვა?.. მესამე სიტყვა?..
სიტყვების დასახელებისას დაფაზე ერთმანეთის გვერდით ვაწყობთ მუყაოს ზოლებს (IO X 15 სმ.). ბოლოს ვსვამთ წერტილს.

მივიღებთ:



ვაანაღიზებთ:


- რომელია მესამე სიტყვა?.. გადმოვიტანოთ ეს სიტყვა პირველ ადგილას (თავში). (ვიღებთ მესამე მუყაოს და ვდებთ თავში). ახლა რა წერია აქ? (გვეტყვიან: "გათენდა მზინაი დილა").)

შემდგომში სავარჯიშობეს ვართულებით: ვთავაზობთ ბავშვებს 4-5 სიტყვიან წინადადებებს და ასევე ვაანაღიზებთ. ვიყენებთ მუყაოს ზოლებს, როგორც სიტყვათა წარმომადგენლებს (მატერიალიზებულ მასალას).

- წინადადებათა ნაირსახეობები - თხრობითი, კითხვითი, ძახილის, კითხვა-ძახილის. მათი წარმოთქმის ინტონაციები.

სავარჯიშოთა ნიმუშები


შევთავაზოთ წინადადება: "უუჟუნა წვიმა მოვიდა", წარმოვთქვათ მშვიდად, თხრობის ინტონაციით და დავწეროთ მუყაოს ზოლებით, დავუსვათ წერტილი:



შემდეგ წარმოვთქვათ იგივე წინადადება კითხვითი ინტონაციით და შევადარებინოთ თხრობით ინტონაციასთან. მივახვედროთ ბავშვები, რომ პირველ შემთხვევაში ჩვენ ვაცნობეთ ერთმანეთს რაც მოხდა, მეორე შემთხვევაში კი არ ვიცით რა მოხდა და გვინდა გავიგოთ, ამიტომ ვეკითხებით. გავამეორებინოთ თხრობითი და კითხითი ინტონაციებით წინადადებათა წარმოთქმა, შემდეგ წარმოვთქვათ იგივე წინადადება გაოცებით, აღტაცებით და ისევ შევადარებინოთ თხრობით და კითხვით წარმოთქმის ინტონაციებთან. ასე მივიყვანოთ იმის გაგებამდე, რომ ინტონაცია ცვლის

წინადადების აზრს, ამიტომაც როცა "დავწერთ", ბოლოს შესაბამისი აზრობრივი ნიშანი უნდა დავსვათ.

სქემები ასეთ სახეს მიიღებს:



ამდაგვარ სავარჯიშოებს გავიმეორებთ რამდენიმე მეცადინეობაზე, გავაცნობთ კითხვა-ძახილის ინტონაციასაც. სათანადო ვარჯიშის შემდეგ ბავშვებს შეეძლებათ მოიფიქრონ და შესაბიმისი ინტონაციებით წარმოთქვან წინადადებები.

- ზეპირად მიცემული თანმიმდევრული ბგერებისაგან სიტყვის ამოცნობა.

სავარჯიშოს ნიმუშები

თანმიმდევრულად ვუსახელებთ ბავშვებს რომელიმე სიტყვის (გული, წიგნი, დედა...) ბგერებს. ისინი იხსომებენ ბგერათა თანმიმდევრობას და "ამოიკითხავენ" სიტყვას.

აღმზრდელი: პირველი ბგერაა "გ"... მეორე - "უ"... მესამე ბგერაა - "ლ"... ბოლო ბგერაა "ი"... წაიკითხეთ გონებაში რა სიტყვა შემოგთავაზეთ?

ვინც სწრაფად გამოიცნო, მოდის ჩვენთან, ან ჩვენ მივდივართ მასთან და ყურში გვიჩურჩულებს. ასევე იქცევიან სხვებიც, რომლებიც შემდგომ ამოცნობენ სიტყვას.

ჩურჩულებით პასუხი (ეს ხერხი გამოგვადგება სხვა სავარჯიშოთა შესრულების დროსაც) გვჭირდება იმიტომ, რომ ყველას შევუწყოთ ხელი თვითონ გადაწყვიტოს ამოცანა.

წერისათვის მომზადება

- სიტყვისა და წინადადების ჩაწერისათვის საჭირო მოქმედებათა დაუფლება;

სიტყვის დაშლა თანმიმდევრულ ბგერებად და ბგერების გარდაქმნა "ასოებად" (ასოს პირობით ნიშნად შეიძლება მოვიაზროთ წრე): ბავშვი ჩაილაპარაკებს სიტყვას, თანმიმდევრულად გამოყოფს ბგერებს და "წერს" მათ წრეების გამოყენებით. მაგალითად: ჩაილაპარაკებს სიტყვას "მზე", აკვირდება ბგერების თანმიმდევრობას, გამოყოფს პირველ ბგერას და ჩალაპარაკებით "მმმ" წერს ქაღალდზე წრეს. ასევე ჩაწერს მეორე და მესამე ბგერებს და მიიღებს "ჩანაწერს": "○○○○"

ასევე წინადადების დაშლა თანმიმდევრულ სიტყვებად და "ჩაწერა" მცირე მოცულობის ხაზების (ან ჰორიზონტალურად დაწვენილი ოთხკუთხე-დების) გამოსახვით. მაგალითად, ვთავაზობთ დაწერონ წინადადება: "ჟუჟუნა წვიმა მოვიდა". ბავშვი ჩაილაპარაკებს თავისათვის წინადადებას, გამოყოფს პირველ სიტყვას - "ჟუჟუნა" - და ქაღალდზე გამოსახავს და ქაღალდზე გამოსახავს ხაზს, ან ჰორიზონტალურად დაწვენილ ოთხკითხედს. ასევე ჩაწერს მომდევნო სიტყვებს და მიიღებს ჩანაწერს:

"_____".

ან


"[] [] [] ".

- წინადადებათა ნაირსახეობის გამოსახატავად შინაარსობლივი ნიშნების - წერტილის, კითხვის, ძახილის, კითხვა-ძახილის ნიშნების გაცნობა და გამოყენება.


კითხვისა და წერისათვის მზაობის საკონტროლო უნარი

ნაკარნახევი ან დამოუკიდებლად მოფიქრებული სიტყვებისა და წინადადებების პირობითი ნიშნებით ჩაწერა და შემდგომ წაკითხვა; პირობითი ნიშნებით ჩაწერილი სიტყვებისა და წინადადებების ამოკითხვა-ამოცნობა.

მაგალითად, ამ ჩანაწერებში რომელი შეიძლება იყოს სიტყვა "მთვარე":



ან: ამ ჩანაწერებში რომელია წინადადება: "იჩქარე ჩაიდინო სიკეთე"? ვუჩენებთ სქემებს:



- ქართული წერისათვის განკუთვნილი ოთხხაზიანი დახაზულობის რიცხვების ხაზების გაცნობა;
- გრაფიკული სავარჯიშოების გამოსახვისას ხაზებით ორიენტირება;

**სავარჯიშოები ქართულ ასოთა ჯგუფების გრაფიკულ მოძრაობათა
დასაუფლებლად:**



ინის მოძრაობა -

ანის მოძრაობა -

თანის მოძრაობა -



სწორი ხაზების ავლება-ჩამოვლება



2. მათემატიკურ წარმოდგენათა განვითარება

- ცნებები: ბევრი, ცოტა; დიდი, პატარა; გრძელი, მოკლე; მაღალი, დაბალი; ახლო, შორს; სქელი, თხელი; მძიმე, მსუბუქი; მსხვილი, წვრილი; მეტი, ნაკლები; ტოლი, უტოლო; (შედარებები მატერიალური და მატერიალიზებული მასალის გამოყენებით); ამ ცნებათა გარკვევისას ვიყენებთ სასწორს (ბევრი, ცოტა; მეტი, ნაკლები; მძიმე, მსუბუქი; ტოლი); სანტიმეტრს (გრძელი, მოკლე; მეტი, ნაკლები; ტოლი, უტოლო);
- გეომეტრიული ფიგურები: წრფე, სხივი, მონაკვეთი; წრე, ოვალი; კუთხე, სამკუთხედი, ოთხკუთხედი, სწორკუთხედი, კვადრატი, მრავალკუთხედი;
- თვლა რაოდენობის წვდომით (თითებთან ერთად ვიყენებთ სხვადასხვა სახის დიდაქტიკურ მასალას) - ათის, ოცეულის ფარგლებში;
- ცნებები: მიმატება, გამოკლება, ტოლია; შესაბამისი ნიშნები: "+" (პლიუსი), "-" (მინუსი), "=" (ტოლია, უდრის);
- შეკრება, გამოკლება 10-ის ფარგლებში; 20-ის ფარგლებში, ათეულზე გადაუსვლელად, ათეულზე გადასვლით; თვლა ორობით, სამობით, ოთხობით, ხუთობით;
- მოქმედებათა შესრულება თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალის გამოყენებით გონებაში და დიდაქტიკური მასალით.

დიდაქტიკური მასალა

ამ და სხვა ცნებათა შინაარსის გაგებაში დაგვეხმარება შემდეგი სახის
დიდაქტიკური მასალა:

მუყაოსაგან გამოჭრილი გეომეტრიული ფიგურები - თითოეული სამი ზომის -
დიდი, საშუალო, პატარა, და სამი ფერის - წითელი, ყვითელი, მწვანე. ამრიგად,
დაგვჭირდება 9 სწორკუთხა სამკუთხედი (სამი ზომის და თითოეული სამი ფერის),
ასევე 9 კვადრატი, 9 მართკუთხედი, 9 წრე, 9 ოვალი, 9 მრავალკუთხედი (სასურველია
ამდენივე ტოლგვერდა სამკუთხედიც). სულ ფიგურათა რაოდენობა მოთავსებული
ერთ კოლოფში იქნება 63. ეს დიდაქტიკური მასალა აქვს ყველა ბავშვს თავისი
(შეიძლება ვთხოვთ მშობლებს, რომ დაუმზადონ ეს მასალა ბავშვებს). ფიგურათა
ზომებს ვუთანხმებთ კვადრატის ზომებს: დიდი კვადრატი 8 x 8 სმ, საშუალო 6 x 6 სმ,
პატარა 4 x 4 სმ.

ამ მასალის გამოყენებით ბავშვებს ვაძლევთ მრავალგვარ სავარჯიშოს.
მაგალითად:

- დააჯგუფონ ფიგურები ფერის მიხედვით (წითელი ფიგურები. ყვითელი
ფიგურები, მწვანე ფიგურები); გვითხრან, რა ფიგურებმა მოიყარეს თავი
თითოეულ ჯგუფში;
- დააჯგუფონ ფიგურები ზომის მიხედვით (დიდი, საშუალო, პატარა);
გვითხრან, რა ფიგურებმა მოიყარეს თავი თითოეულ ჯგუფში;
- გამოყონ მხოლოდ პატარა ფიგურები (საშუალო ზომის ფიგურები, დიდი
ზომის ფიგურები);
- გადათვალინ მხოლოდ დიდი ფიგურები (მხოლოდ საშუალო, მხოლოდ
პატარა, მხოლოდ წითელი, მხოლოდ ყვითელი, და ა.შ.);
- შექმნან ამ ფიურების გამოყენებით: მანქანა (გვითხრან, რა და რა ფორმის და
ფერის რამდენი ფიგურა გამოიყენეს); სახლი, რაკეტა და ა.შ.

3. შეხვედრები ბაბილინასთან: ზღაპრების კითხვა, მულტფილმები, საუბრები, სიმღერა, ცეკვა, მუსიკალურ-ჰლასტიკური იმპროვიზაციები

კვირაში ორჯერ ბავშვებს აქვთ შეხვედრა ბაბილინასთან. შეხვედრა იმართება "ბასტი ბუბუს" პავილიონში, სადაც ბაბილინა ატარებს ბავშვებთან სახალისო მეცადინეობებს.

ბაბილინას მეცადინეობებზე:

- ბავშვები უსმენებ აღმზრდელობით და განმავითარებელი ხასიათის საბავშვო ზღაპრებსა და მოთხრობებს მეგობრობაზე, სიკეთეზე, ურთიერთდახმარებაზე, თანაგრძნობაზე და ა.შ. (ბავშვებს არ ვუკითხავთ ნაწარმოებებს მოწსტრებზე, საშინელებებზე, მკვლელობაზე, ყაჩაღობაზე, უზნეობაზე და ა.შ.);
- წაკითხულის კომენტირება, საუბარი შინაარსის ირგვლივ; საუბრის მიზანია ბავშვთა ლექსიკის, წარმოდგენების გაფართოება და გამდიდრება, დახმარება, რომ სწვდნენ ნაწარმოების იდეას;
- აქვე ხდება მულტფილმების ჩვენება (მულტფილმები იმავე თემებზე); კომენტარი და საუბარი ნანახის ირგვლივ; ბავშვთა წარმოდგენების მოწესრიგება და კეთილმეტყველებისა და კეთილმოქმედების ორიენტაციების გამომუშავება.
- ბაბილინასთან ერთად ხდება საბავშვო სიმღერების მოსმენა და შესწავლა, "ბასტი ბუბუს" რეპერტუარიდან;
- რიტმული ცეკვები, სიმღერების შესრულება რიტმულ ცეკვასთან ერთად;
- მელოდიის განცდა და იმპროვიზაციული გადმოცემა ჰლასტიკურ მოძრაობაში;

ვვარაუდობთ, რომ საბავშვო ბალის აღსაზრდელების ძირითადი კონტინგენტი მეცადინეობას გააგრძელებს "ბასტი ბუბუს" სამხატვრო სკოლის სტუდიებში.

4. თამაში

- წესებიანი კოლექტიური თამაშები აქტიური ფიზიკური მოძრაობებით (სისწრაფე, ხტომა, სირბილი, დაბრკოლებათა გადაღვახვა, შიშის დაძლევა, სიმამაცე, გამძლეობა, მოხერხებულობა, სისხარტე...); ბავშვებს ერთმანეთთან არ ვაჯიბრებთ, არავინ არის გამარჯვებული და დამარცხებული; საერთო მხიარულება, საზეიმო განწყობა;
- გონებრივი თამაშები, რომლებიც საჭიროებენ: მიხვედრას, შედარებას, ცდას, დაკვირვებას, სიზუსტეს, მსჯელობას, დაშვებას, ლამაზად შესრულებას;
- თამაშები დიდაქტიკური მასალით, სათამაშოებით, თოჯინებით;
- თამაშები წარმოსახვის, ნებისყოფის, ცნობისმოყვარეობის, მიზანმიმართულობის უნართა და შესაძლებლობათა გასავითარებლად, თანამშრომლობის და ურთიერთგაგების, ურთიერთდათმობის და დახმარების თვისებათა აღსაზრდელად.

5. უცხო ენები

უცხო ენების სწავლება ემყარება ცოცხალ, ცხოვრებისეულ ურთიერთობებსა და შინაარსებს, და არა მხოლოდ საგანთა დასახელებისა და თარგმნის პრინციპებს. ბავშვების მიერ უცხო ენაზე მეტყველების დაუფლების პირობაა, პირველ რიგში, თავად აღმზრდელის პიროვნება. ხალისიანი აღმზრდელი, რომელსაც უყვარს და შეუძლია ბავშვებთან თამაში, რომელსაც შეუძლია თითოეულთან დაამყაროს უშუალო ურთიერთობა, შეაყვაროს ბავშვებს თავი და საინტერესო იყოს, მათთვის ცხოვრებისეულ აუცილებლობად იქცეს, უფრო სწრაფად და თავისუფლად, გარკვეულწილად ბუნებრივად აამეტყველებს ბავშვებს, ვიდრე აღმზრდელი, რომელიც მასწავლებლის პოზიციაში გადადის და ცალკეული სიტყვებისა და ფრაზების თარგმნითა და დახსომებით ცდილობს მიაღწიოს მიზანს.

უმჯობესია, თუ აღმზრდელი - უცხო ენის მატარებელი - მხოლოდ თავის ენაზე იმეტყველებს ბავშვებთან, უკითხავს ლექსებს, უყვება მარტივი შინაარსის ამბებს, ექსპრესიის მეშვეობით და საგნების მოშველიებით ცდილობს გააგებინოს, რაზე მეტყველებს, ხშირად და ვარიანტებით უმეორებს ერთი და იგივეს, და ცდილობს ურთიერთობისათვის გამოიწვიოს ისინი, სიხარულის, აღტაცების, გაოცების, კმაყოფილების გამოხატვით (და არა საჩუქრების ჩამორიგებით) განამტკიცებს და აქეზებს თითოეულის მცდელობას რომ ალაპარაკდეს.

თუ რომელიმე აღმზრდელს შეუძლია რაც შეიძლება დიდხანს დაჰყოს ბავშვებთან (გაჰყვეს სასეირნოდ, ჩაუტაროს რაიმე მეცადინეობა, დაესწროს მათ საუზმეს და სადიღლს და ა.შ.) და ურთიერთობა იქონიოს მათთან თავისი ენის მეშვეობით - ამ გზით ბავშვები კიდევ უფრო სწრაფად წაიწევენ წინ.

უცხო ენაზე მეტყველების დაუფლების ეს გზა ემყარება ბავშვის იმავე ფსიქოლოგიურ ფუნქციას (მეტყველების ფუნქცია), რამაც მას მშობლიური ენა დააუფლებინა ყოველგვარი მეცადინეობისა და გრამატიკული ნორმების ათვისების გარეშე. 6-7 წლამდე ეს ფუნქცია ჯერ კიდევ მოქმედებს ბავშვში და შეუძლია აამეტყველოს იგი იმ ადამიანის ენაზე, რომელიც მისთვის ცხოვრებისეულ აზრს შეიძენს.

6. ხატვა, აპლიკაცია, ძერწვა

ეს საქმიანობა ემსახურება: ბავშვთა მხატვრულ-ესთეტიკურ და გონებრივ განვითარებას, ფანტაზიისა და წარმოსახვის აღძვრას, სილამაზის განვითარებას. ამავე დროს მათში იზრდება კეთილშობილური ზრუნვა, რომ ასიამოვნობს, გაახაროს, გააოცოს მშობლები და ახლობლები თავისი ნახელავით, საჩუქრით. ამ მეცადინეობებზე ბავშვები:

- მსჯელობენ რა არის ლამაზი და უშნო; სწავლობენ მხატვრულ ნაკეთობა-თა შეფასებას, შედარებით ანალიზს;
- ითვისებენ ხატვის, აპლიკაციისა და ძერწვის ჩვევებს;
- ეჩვევიან წარმოსახულის სიტყვიერ გამოხატვას და პრაქტიკულად შესრულებას;
- ითვისებენ მოტივაციას - მიუძღვნან ლამაზი ნაკეთობა ახლობელ ადამიანს (დედას, მამას, ძმას, დას...)
- ეუფლებან საკუთარი ნაკეთობის, ნახატის შეფასებას;
- ითვისებენ ხელოვნების ნიმუშების აღქმის, წვდომის, შეფასების უნარს.

7. ფიზიკური ვარჯიში

ყოველ დილით საბავშვო ბალის აღსაზრდელთა ცხოვრება იწყება იუსიკალური ფიზიკური ვარჯიშით. ვარჯიში შედგება რიტმული მოძრაობებისა და ცეკვის ელემენტებისაგან და გრძელდება 5-7 წუთი.

ფიზიკურ ვარჯიებში იგულისხმება აგრეთვე ბავშვთა მოძრაობითი კოლექტიური თამაშები.

კვირაში ერთეხლ ტარდება მეცადინეობა: აქ ბავშვები ეცნობიან ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის ელემენტარულ წესებს, სწავლობენ ვარჯიშებს, რომლებიც მათ შეუძლიათ შესასრულონ შინ დამოუკიდებლად.

8. შრომითი საქმიანობა

- თვითმომსახურებისა და ურთიერთმომსახურების ჩვევების გამომუშავება: საუზმის და სადილის გაწყობასა და მაგიდების ალაგებაში უფროსების დახმარება; ტანსაცმლის ჩაცმისა და გახდის ჩვევებში; სისუფთავის დაცვა; ოთახის მიღავება, სათამაშოების და ნივთების დაბრუნება თავ-თავის ადგილას (გამოირიცხება საქმიანობა, რაც ბავშვისთვის მძიმედ შესასრულებელია, ან ჰიგიენურად მიუღებელია).
- მაღლიერების განცდის აღზრდა იმათ მიმართ, ვინც მათ ეხმარება, ან მათ მაგივრად ასრულებს რაიმე საქმეს (შეამჩნიოს და გამოხატოს მადლობა).

შრომითი საქმიანობის მეცადინეობებზე ბავშვები ისმენენ საუბრებს ადამიანთა შრომაზე, შრომის მნიშვნელობაზე, პრაქტიკულად ეუფელობიან მარტივ შრომით ჩვევებს, უვითარდებათ მოთხოვნილება აკეთონ კეთილი საქმეები, დაუზარებლად მოემსახურონ ერთმანეთს და უფროსებს, თავად მიხვდნენ, რა არის მათი გასაკეთებელი, ან შესთავაზონ სხვებს დახმარება.

9. გარემომცველი სამყაროს გაცნობა, ურთიერთობა

- ცოდნა - ვინ არიან აქლობლები და რა ნათესაურ ან სხვა დამოკიდებულებაში არიან მათთან; ვინ ზოუნავს მათზე, რას ნიშნავს ზოუნვა;
- ცოდნა - რომელ სოფელში, ქალაქში, ქვეყანაში ცხოვრობს;
- ცოდნა - რა არის სამშობლო და რა ჰქვია მის სამშობლოს; რა არის სამშობლოს სიყვარული, რატომ უყვართ ადამიანებს სამშობლო;
- ცოდნა სხვა ქვეყნების შესახებ;
- სხვადასხვა ადამიანებთან (აქლობლებთან, ნაცნობებთან, უცნობებთან, დიდებთან, პატარებთან) ურთიერთობის ჩვევები - თავაზიანობა, გულისხმიერება, პატივისცემა, შესაბამისი მეტყველებითი ლექსიკისა და ექსპრესიის ფლობა;
- ქალაქი და ქალაქის ცხოვრება; სოფელი და სოფლის ცხოვრება; ბუნება, ბუნებასთან ურთიერთობა, ბუნების დაცვა;
- სიფრთხილე - არაფერი დააშაოს ან ვინმეს არაფერი დაუშაოს; თავადაც არაფერი დაუშავდეს, ან არ დაუზიანდეს.

ამ მეცადინეობებს ბავშვი შეჰყავს ადამიანებთან და გარემოსთან კეთილ ურთიერთობაში; მიჰყავს გაგებამდე, რომ მის გარდა გარშემო სხვებიც არიან, და როგორც უფროსები ზოუნავენ მასზე, ასევე მას მართებს იზრუნოს სხვებზე.

10. გასეირნება

ყოველდღიურად საბავშვო ბაღის აღსაზრდელები გაგვიავს სუფთა ჰაერზე, ვასეირნებთ, შესაძლებლობას ვაძლევთ ირბინონ, ითამაშონ, ამავე დროს ვაძლევთ დარიგებას ამა თუ იმ კეთილი ქცევის შესახებ და ვესაუბრებით მათთვის საინტერესო თემებზე. ზოგ შემთხვევაში გასეირნების შინაარსი დამოკიდებული იქნება ამინდზე (დაგვესწრო უუჟუნა თუ შხაპუნა წვიმა, ამოვარდა ქარი, წამოვიდა თოვლი), მომხდარ შემთხვევაზე, რომელთა მოწმენიც ბავშვები გახდნენ. გასეირნების დროს ბავშვებს ვუვითარებთ ერთმანეთთან ურთიერთობისა და ერთმანეთზე ზრუნვის ჩვევებს.

მეცადინეობათა წასიათი

საბავშვო ბალში ბავშვებთან მიზანმიმართული აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მუშაობის წამყვანი ფორმა მეცადინეობა და არა გაკვეთილი (როგორც სკოლაში). მეცადინეობა ზოგი რამით ემსგავსება გაკვეთილს (ვთქვათ, განსაზღვრული დრო, პროგრამიდან გამომდინარე საერთო თემა, მასწავლებლის ხელმძღვანელი როლი), მაგრამ არსებითი განსხვავება ის არის, რომ მეცადინეობა რაც შეიძლება სრულად ითვალისწინებს ბავშვების იმპულსურ ბუნებას და თამაშობით მოთხოვნილებას. მეცადინეობა არ ითხოვს ბავშვებისა-გან ვალდებულების განცდას და ნებისყოფის დაძაბვას. ჰუმანური პედაგოგიკის პირობებში აღმზრდელი ეთანხმება ბავშვის ბუნებას და ამ თანხმობის საფუძველზე ავლენს და ავთარებს მას. ამავე პედაგოგიკის პირობებში მასწავლებელი ითანხმებს ბავშვის ბუნებას და გაიყოლიებს მას. ავტორიტარული პედაგოგიკის პირობებში კი მეცადინეობაზეც და სასკოლო გაკვეთილზეც ბავშვს თავს ვაწვევთ აღმზრდელისა და მასწავლებლის ნებას და მოთხოვნებს.

მეცადინეობა იწყება დღის რეჟიმით განსაზღვრულ დროს, გრძელდება 30-35 წუთი, მთავრდება ასევე განსაზღვრულ დროს.

მეცადინეობას ატარებს აღმზრდელი, იგი წინასწარ ამზადებს მეცადინეობის გეგმას და შინაარსს, იმარაგებს დიდაქტიკურ მასალას, ამოწმებს ტექნიკას.

იმის მიხედვით, თუ რა სახის მეცადინეობასთან გვაქვს საქმე, რა მეთოდების გამოყენება და ბავშვის მიერ რა მოქმედებათა შესრულება გვაქვს განზრახული, ბავშვები შეიძლება დავსხათ მაგიდების ირგვლივ, ან წალიჩაზე და ჩვენც მათ შუაში დავჯდეთ; შეიძლება ნება მივცეთ მოეწყონ ვისაც როგორ უნდა ჩვენს ირგვლივ: სკამზე ჩამოჯდეს, ხალიჩაზე დაჯდეს, ან წამოწვეს, ფეხზე იდგეს, შეიცვალის მდგომარეობა. მთავარი ის იქნება, რომ ჩვენ განვაწყოთ ისინი მოგვისმინონ, გვკითხონ, ჩვენი დარიგებებით იმოქმედონ.

აღმზრდელი თავისი ურთიერთობით ბავშვებთან არ გადადის მასწავლებლის მდგომარეობაში. აღმზრდელის როლში უნდა იყვნენ ის პირნიც, ვინც ბავშვებს უცხო ენას ასწავლიან, მათი მუშაობა ბავშვებთან არ უნდა გასცდეს მეცადინეობის საზღვარს, არ უნდა გადაიზარდოს გაკვეთილსა და მასწავლებლობაში.

მეცადინეობაზე აღმზრდელი ბავშვებთან ერთად მოქმედებს: თუ ხატვაა, მათთან ერთად ხატავს; თუ ცეკვაა, მათთან ერთად ცეკვავს; თუ სიმღერაა, მათთან ერთად მღერის; თუ მათემატიკაა, მათთან ერთად თვლის და ანგარიშობს. ამრიგად, აღმზრდელი, ერთის მხრივ, განუმარტავს, უხსნის, უამბობს რაიმე საკითხს, მეორე მხრივ კი - ბავშვებთან ერთად მოქმედებს და საშუალებას აძლევს მათ აიღონ მისგან ნიმუში და მაგალითი.

მეცადინეობას ვერ დავუწესებთ მკაცრ სქემას, მაგრამ მოთხოვნას კი უთუოდ წავუყენებთ: მეცადინეობა ბავშვებში აღძრავს ხალისსა და მოწადინებას. მეცადინეობა უნდა შეწყდეს, თუ ბავშვები მოიწყენენ და ხალისი დაეკარგებათ. თუ ბავშვები მეცადინეობის დროს ხალისიანად არიან და მოწადინებით თანამშრომლობენ აღმზრდელთან, ეს იმის ნიშანია, რომ პედაგოგიურ პროცესში ისინი პიროვნულად არიან ჩართულნი, ანუ ეს პროცესი თითოეული მათგანის პიროვნებისკენა მიმართული. მოწყენილობა კი იმის ნიშანია, რომ ბავშვის პიროვნება ეთიშება პედაგოგიურ პროცესს და აღმზრდელს ისლა დარჩენია, რომ იძულება იხმაროს. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, უმჯობესია შეწყდეს მეცადინეობა და ყურადღება გადავიტანოთ აქტიურობის იმ შინაარსზე, რაც ბავშვებს დაუბრუნებს ხალისს.

განვითარება, დიდობა, თავისუფლება

ბავშვი არის ბუნებრივ მოთხოვნილებათა, ფუნქციურ ძალთა ერთობა და მთლიანობა, მისი პიროვნების გამოვლენა ამ ძალთა განვითარებაზეა დამოკიდებული. დ.უზნაძე მიუთითებს, რომ ბავშვში იმთავითვე ჩათესილია მისი მომავალი პიროვნების თესლი. ამ თესლიდან აღმოცენდება სამი დამოუკიდებელი სწრაფვა, რომელთა მიზნობრივ დაკმაყოფილებასა და გამოვლენას მიჰყავს ბავშვი თავისი მომავალი პიროვნებისაკენ. ეს სრწყვებია - განვითარების, დიდობის და თავისუფლების მოთხოვნილებანი. ბავშვი მათ გარეშე არ არსებობს.

განვითარება არის ამა თუ იმ ბუნებრივი შესაძლებლობის გამოვლენისა და რეალობად ქცევის პროცესი. ახლადდაბადებულ ბავშვს აქვს შესაძლებლობა, რომ ალაპარაკდეს, გამართულად იაროს, იაზროვნოს, ნებისყოფით იმოქმედოს, დააკვირდეს, დაიხსომოს და ა.შ. ბავშვის შესაძლებლობათა აღრიცხვა შეუძლებელია. მაგრამ ჩვილი დაბადებიდანვე როდი ალაპარაკდება, ან ორ ფეხზე როდი ივლის, ან როდი იაზროვნებს. ეს ბუნებრივი შესაძლებლობები თავად ესწრაფვიან გამოვლენას და რეალობად ქცევას.

თუ ბავშვს შინაგან ძალთა გამოვლენაში დავეხმარებით, მაშინ ორ შედეგს მივაღწევთ: ჯერ ერთი, იგი კმაყოფილი იქნება ჩვენით, ჩვენ მისი ცხოვრებისთვის აუცილებელი ადამიანი გავხდებით, იგი თავად დაგვეხმარება, რომ ჩვენ მეტი აქტივობა გამოვიჩინოთ; მეორეც, ჩვენი გონივრული განმავითარებელი დახმარების პირობებში ბავშვი უფრო ადრე მიაღწევს შინაგან ძალთა გამოვლენას და, რაც მთავარია, მაქსიმალურ დონეზე.

გამოდის, რომ ბავშვი დაიწინაურებს ცხოვრებას.

ხოლო თუ მას არ შეეწყობა ჩვენის მხრივ ხელი, მაშინ იგი საკუთარ ძალთა განვითარებაში მიაღწევს მხოლოდ იმ საფეხურს, რაშიც სტიქიური გარემო დაეხმარება. სტიქიური გარემო კი მიზანმიმართული განვითარების გარანტიას ვერ მოგვცემს. ამიტომ შეიძლება მოხდეს (და ასეც ხდება მასობრივ პრაქტიკაში), რომ ბავშვი სათანადოდ ვერ გამოავლენს და ვერ განივითარებს ბუნებისაგან ბოძებულ შესაძლებლობებს და, შეიძლება, ბევრ მათგანს კიდეც სამუდამოდ დაკარგავს.

რა ძალთა განვითარებაზეა კერძოდ ლაპარაკი?

ლაპარაკია ემოციურ, ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, სულიერ ძალთა განვითარებაზე. ლაპარაკია შემეცნების ძალთა განვითარებაზე: დაკვირვებულობასა და ყურადღებიანობაზე, ნებისყოფასა და გამბედაობაზე, კეთილაზროვნებასა და კეთილმეტყველებაზე, ცნობისმოყვარეობასა და გაოცებაზე, წარმოსახვასა და ფანტაზიაზე.

განვითარებული ადამიანი უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს ცხოვრებაში, ვიდრე განუვითარებელი.

აღმზრდელი, ბავშვთან ურთიერთობაში, მეცადინეობებზე განუწყვეტლივ ხელმძღვანელობს მისი ბუნებრივ ძალთა განვითარების იდეით. ამასთან ანგარიშს უწევს განვითარების ბუნებრივი პროცესის შემდეგ კანონზომიერებას:

შინაგან ძალთა განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სიძნელეთა გადალახვის პირობებში.

გამომდინარე აქედან, აღმზრდელი სთავაზობს ბავშვს კითხვებს, დავალებებსა და ამოცანებს, რომელთა დაძლევაც მათგან გარკვეულ ძალისხმევას

ითხოვს. დავალება, რომელსაც ბავშვი თავისუფლად ასრულებს, არ განავითარებს მას. კითხვა, რომელის პასუხიც ბავშვმა უკვე იცის, არ განავითარებს მას. დავალებანი, ამოცანები, კითხვები და სხვა ამგვარი დიდაქტიკური მასალა, რომელიც არ ითხოვს ბავშვისაგან ყურადღების, დაკვირვებულობის, აზროვნების დაძაბვას, ხელს ვერ შეუწყობს მის განვითარებას. ბავშვი არც მოსწონს ასეთი დავალებანი. აღმზრდელი ამზადებს ბავშვისათვის ისეთ მასალას, რომელზეც იაკობ გოგებაშვილი იტყოდა: "ნახევრობით ცნობილია და ნახევრობით არაო". ამასთან აქეზებს ბავშვებს ფიქრისათვის, მცდელობისათვის, დაკვირვებულობისათვის. ასწავლოს როგორ იფრთხილონ, არ იჩქარონ. დავალების მიცემის შემდეგ არ აჩქარებს ბავშვებს პასუხისათვის. იწონებს იმათ ქცევას, ვინც დაფიქრებულ პასუხს აძლევს, ფრთხილად მოქმედებს, ცდილობს არაფერი შეეშალოს. ეხმარება მიმახვედრებელი რეპლიკებით და მაგალითის ჩვენებით, როგორ გადალახონ სიძნელე. ხოლო როცა სიძნელის გადალახვა რაიმე მნიშვნელოვან წინსვლასთან არის დაკავშირებული, გამოთქვამს სიხარულს მათი წარმატების გამო და მათაც განაცდევინებს სიხარულს. შეცდომის გამო არ უსაყვედურებს ბავშვს, არამედ დაეხმარება, რომ გაერკვეს.

დიდობის მოთხოვნილება თავს იჩენს უკვე ორი წლის ასაკიდან და მომდევნო წლებში სულ უფრო და უფრო ძლიერდება. სამი-ექვსი წლის ბავშვმა იცის, რომ ის პატარაა, მაგრამ უნდა, რომ უფრო დიდი იყოს, ვიდრე არის. პატარა ბავშვებს უყვართ დიდებივით ქცევა, დიდების საქმიანობაში ჩართვა. დიდობის მოთხოვნილებას ბავშვი ნაწილობრივ თამაშის პროცესში იკმაყოფილებს. თამაშშივე ამზადებს თავს მომავალი ცხოვრებისთვის. ისეთი თამაშები, როგორიცაა ექიმობანა, მასწავლებლობანა, მშენებლობა და ა.შ. ბავშვებს საშუალებას აძლევს წარმოისახონ თავი როგორც დიდებმა და იმოქმედონ, როგორც დიდები მოქმედებენ.

დიდობის მოთხოვნილების კანონზომიერება იმაშია, რომ ბავშვი ამ მოთხოვნილებას უპირველეს ყოვლისა უფროსებთან ურთიერთობებში იკმაყოფილებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვმა ხშირად უნდა მოისმინოს უფროსისაგან, მშობელი იქნება ის, ახლობელი ადამიანი თუ აღმზრდელი, რომ ის უკვე დიდია. ამასთან ამას უნდა გამოხატავდნენ ნდობით ("შენ ხომ უკვე დიდი წარ"), სიხარულით ("რა გულმოდგინედ გვეხმარები!", "რა კეთილი საქმე ჩაიდინე!", "როგორ გონივრულად მოიქეცი!" და ა.შ.). გაოცებით ("აი, თურმე რა შეგძლებია!", "ნუთუ ეს შენი გაკეთებულია?!" და ა.შ.). აღმზრდელი იშვიათად გააჩხენებს ბავშვს, რომ ის ჯერ კიდევ პატარაა. სამაგიეროდ ხშირად დაიწმარებს თავის საქმეებში, როგორც დიდს, ესაუბრება, როგორც დიდს, ანდობს რაიმეს შესრულებას, როგორც დიდს, და, საერთოდ, ექცევა, როგორც დიდს. თუ ბავშვი დიდობის ასეთ კეთილმყოფელ გარემოსა და ურთიერთობებში იზრდება, მისი სოციალიზაციის პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის, იგი დასერიოზულდება, მასში პასუხისმგებლობის და ზრუნვის გრძნობა განვითარდება. არ შეიძლება ბავშვს ხელოვნურად გავუხანგრძლივოთ პატარაობა, აუცილებელია სწორი პედაგოგიური გზით ავტოროტ დიდობაში შესვლა. ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვს ბავშვობას წავართმევთ, რადგან ნამდვილი ბავშვობა დიდობაში გადასვლის პროცესია. თუ ბავშვს ამ გზის გავლაში დავეხმარებით და შესაძლებლობისამებრ ნაბიჯს ავაჩქარებინებთ, იგი განეწყობა ჩვენთან თანამშრომლობისათვის, თავად დაგვეხმარება საკუთარ აღზრდაში.

თავისუფლების მოთხოვნილება ბავშვში ერთ-ერთი უძლიერესი სულიერი სწრაფვაა. აქ საქმე გვაქვს შემდეგ პარადოქსთან: ბავშვის ბუნებამ იცის, რომ ყველაფერში ყველაფერი განპირობებულია და უცვლელ კანონზომიერებებს ექვემდებარება. ბავშვის ბუნებამ ისიც იცის, რომ ბავშვის ცხოვრებისეული

მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, მისი ადამიანად ქცევა უფროსებზე, მშობლებზე, ახლობლებზე, აღმზრდელებზე და მასწავლებლებზეა დამოკიდებული. ამიტომ, ერთის მხრივ, ბავშვი, განსაკუთრებით პირველ წლებში, მთლიანად დამოკიდებულია უფროსებზე (ესეც ბუნების კანონზომიერებაა), მეორეს მხრივ, მასში იღვიძებს თავისუფლების მოთხოვნილება, რომელიც მიმართულია ამ დამოუკიდებლობის მოხსნისაკენ. როგორც ვთქვით, ეს მოთხოვნილება ასაკთან ერთად ძლიერდება (განსაკუთრებით კრიტიკულია მოზარდობის პერიოდი), და თუ ჩვენ ბავშვს არ დავეხმარეთ იგრძნოს თავისუფლება, პირიქით, კიდეც შევუზღუდავთ ამ სულერ სწრაფვას, მაშინ მოზარდობის ასაკში საქმე გვექნება კონფლიქტებთან, როცა მოზარდი თავისუფლების მიტაცებას დაიწყებს, ხოლო უფროსები შეეწინააღმდეგებიან, რადგან ხედავენ, რომ იგი თავისუფლებისთვის მზად არ არის. თავისუფლება შეცნობილი აუცილებლობაა. მოზარდი კი ესწრაფვის თავისუფლებას, მასში ჩამალული აუცილებლობა, ჭეშმარიტება, კანონი, ანუ ყველაფერი ის, რასაც იძულებული ვართ დავემორჩილოთ, თუ თავისუფლება გვინდა, - შეცნობილი არა აქვს. ვ-6 წლის ბავშვს არ ეთმინება შეასრულოს რამე მოქმედება ისე, რომ ბოლომდე მოუსმინოს დამრიგებელს, როგორ უნდა იმოქმდოს. "ვიცი, ვიცი... მე თვითონ!" - გაიძახის ბავშვი. სინამდვილეში კი არ შეუძლია, მაგრამ ჰგონია, რომ იცის და შეუძლია. იმისათვის, რომ ბავშვმა გამოცდილება შეიძინოს და მიხვდეს, რამდენად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი მოქმედებისათვის მოქმედების წესის ცოდნა (და, რა თქმა უნდა, სათანადო შესაძლებლობათა და ჩვევების დაუფლებაც), ერთ-ერთ პედაგოგიურ გზად შეიძლება გამოვიყენოთ ცდა, რომელსაც შედეგი არ მოჰყება, ან შედცომა მოაქვს, "საქმე ფუჭდება", "არ გამოდის". რასაკვირველია, ამ გზას ვიყენებთ მხოლოდ ისეთ მოქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც ბავშვს არ მოუტანენ რაიმე ფიზიკურ ზიანს და იმედის გამაცრუებელ მარცხს.

პედაგოგიურ პროცესში, უფროსებთან ურთიერთობაში ბავშვმა რომ თავისუფლების მოთხოვნილების დაკმაყოფილება იგრძნოს, თავისუფლება განიცადოს, მოგვიხდება დავემყაროთ ე.წ. თავისუფალი არჩევანის პრინციპს. ჩვენ არ შეგვიძლია აღზრდის, სწავლების და განვითარების პროცესში ბავშვს სრული თავისუფლება მივანიჭოთ: უნდათ ისწავლონ, უნდათ ნუ ისწავლიან; უნდათ მიჰყვნენ ჩვენს ოჩევებსა და დარიგებებს, უნდათ, ნუ მიჰყვებიან. თუ ასე მოვიქცევით, მაშინ ბავშვს ვერც ხეირიანად გავზრდით და ვერც რაიმე რიგიანს ვასწავლით. მაგრამ არის იმის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური შესაძლებლობები, რომ ბავშვს არ ვაგრძნობინოთ, თითქოს თავს ვახვევთ ჩვენს ნებას. პირიქით, იგრძნოს, რომ თავად ირჩევს აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო პროცესის შინაარსებსა და მოქმედების გზებს. ამის მიღწევა შეიძლება თავისუფალი არჩევანის საფუძველზე: სისტემატურად, ყოველთვის, როცა რამ გვინდა შევთავაზოთ, არჩევანის წინაშე დავაყენოთ და ვანდოთ, რომ თავად გადაწყვიტონ, რა უნდათ. მაგალითად, ვეკითხებით: რომელი თამაში (სათამაშო) გირჩევნიათ - ეს თუ ის?" დაე, აირჩიონ, ჩვენთვის ორივე თამაშის პროცესი და შედეგი თანაბარფასოვანია. ასევე: "რომელი ზღაპარი წაგიკითხოთ?", "რა გირჩევნიათ?", "თქვენ როგორ ფიქროთ?" და ა.შ. ყოველთვის ვუთანხმებთ მეცადინეობის შინაარსს; რა უნდა ვასწავლოთ, რა უნდა გავაკეთოთ. ყველა შესაძლო შემთხვევაში არ ვივიწყებთ ისე ავაგოთ ბავშვებთან ურთიერთობა, რომ არჩევანის წინაშე დავაყენოთ და მივიღოთ მათი თანხმობა. რაც მეტად დავითანხმებთ ბავშვს ჩვენს მიერ შეთავაზებულ საქმეებში, მით უფრო ხალისით გამოგვყვება იგი.

ბავშვები განვითარების, დიდობისა და თავისუფლების მოთხოვნილებათა ბუნება ჰქონის პედაგოგიური პროცესის ფსიქოლოგიური საფუძველია. ეს იმას ნიშნავს, რომ აღმზრდელი განუწყვეტლივ შემოქმედებითად ეძებს ბავშვთან ურთიერთობის შესაბამის ფორმებსა და მეთოდებს.

ავტორიტარული ურთიერთობა ბავშვებთან ამ ფსიქოლოგიური ბუნების გაუფასურებას გამოიწვევს.

სიხარული

თუ ბავშვი საბავშვო ბალში წალისით მოდის, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი შინაგანი ბუნება აქ გამოვლენისა და განვითარების შესაძლებლობას პოსტულობს. ბავშვს მოწონს ის, რაც მის ბუნებრივ არს ეთანხმება და სააქტივაციოდ იწვევს. ამ მიმზიდველ გარემოს ბავშვისათვის ქმნის, პირველ რიგში, აღმზრდელი. იგი ბავშვს ხვდება მოლოდინით, წალისით, ღიმილით, სიყვარულით, აღერსით და ასეთივე ურთიერთობა აქვს მასთან მთელი დღის განმავლობაში. სიხარული, რომელსაც ბავშვი განიცდის საბავშვო ბალში, გვეუბნება მისი პიროვნული ბუნების გამოღვიძებასა და აქტივაციაზე. სიხარულსა და თანხმობს იწვევს აგრეთვე საბავშვო ბალის საგნობრივ-სივრცობრივი გარემო: ფორმით ლამაზი და შინაარსით აღმზრდელობითი და განმავითარებელი სათამაშოები, მოხერხებულად მოწყობილი და საბავშვო ავეჯით აღჭურვილი კუთხები, წალიჩებით მოფენილი იატაკი, ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი დიდაქტიკური მასალა, აკვარიუმი, მცენარეები, ფრინველები და ა.შ.

ბავშვს არასდროს ვეტყვით საყვედურს, არ დავემუქრებით, არ დავუყვირებთ, არ დავსჯით, არ შევარცხვენთ, არ მივაყენებთ უსიამოვნებას, არ გამოვიწვევთ მასში წყენას, არ დავჩაგრავთ და არც ვიწმეს დავაჩაგვრინებთ. ეს და სხვა მოქმედებები აღმზრდელის მხრივ შეუთავსებელია ჰქონის პედაგოგიკას-თან.

ბავშვი ყოველთვის დაცული გვყავს სხვათა აგრესიისაგან. ვასწავლით ურთიერთდათმობას, თავშეკავებულობას, სიმშვიდეს. არასოდეს მიგვყავს საქმე იქამდე, რომ ვიწმე აგვიტირდეს. ხოლო თუ ასეთი რამ მაინც მოხდა, ვამშვიდებთ, შევარიგებთ მასთან, ვიწც აწყენინა. ვცდილობთ, რომ ყოველი ბავშვი რაღაცით დაწინაურებული დაბრუნდეს შინ, რაღაც საკუთარი ნაკეთობა მიჰყონდეს საჩუქრად ვიწმესთვის.

ბავშვების მიერ სიყვარულისა და კმაყოფილების განცდა იმის ნიშანია, რომ საბავშვო ბალში მათი ცხოვრება წარმატებულია.

ზეიმები

ზეიმი საბავშვო ბალში ბავშვთა ცხოვრების აკუმულაციის უმნიშვნელოვანები პირობაა. ზეიმი, ჩვეულებრივ, ეძღვნება რაიმე საერთო-სახალხო დღესასწაულს, ან ტარდება როგორც გარკვეულ პერიოდში გაწეული აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო მუშაობის შედეგების დემონსტრირება. ამ მშვინიერ აღმზრდელობით ფორმას აქვს სამი საფეხური: მოსამზადებელი პერიოდი, ზეიმის ორგანიზების დღე და საათი, ზეიმის შემდგომი საუბარი და გეგმების დასახვა.

მოსამზადებელი პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს ერთი-ორი კვირა.

აღმზრდელი უხსნის და უთანხმებს ბავშვებს: რას ზეიმობენ, როგორ იზეიმებენ, ვის მოიწვევენ. ბავშვები სწავლობენ ლექსებს, სიმღერებს, ცეკვებს,

პატარა პიესებს, ამზადებენ თოჯინების წარმოდგენას, ზეიმთან დაკავშირებით გამოფენენ თავიანთ ნამუშევრებს - ნახატებს, აპლიკაციებს, ნაძერწებს. თავადვე იწვევენ მშობლებს, მათთვის ხატავენ მოსაწვევ ბარათებს.

ზეიმში მონაწილეობს ჯგუფის ყველა ბავშვი, აღმზრდელი ცდილობს, რომ თითოეულმა მათგანმა ღირსეულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი და თანაბრად სხვებთან ერთად დაიმსახუროს აღტაცება და ტაში.

მზადების პერიოდში ბავშვების წინაშე ვაყენებთ ამოცანას: ისეთი ზეიმი მოვაწყოთ, რომ ყველა გავახაროთ და გავაოცოთ, რამდენი რამ შეგვძლება და გვისწავლია, როგორ გავიზარდეთ და შევიცვალეთ.

არ შეიძლება ზეიმისთვის მზადება ბავშვთა დრესირებად იქცეს; ეს იგივე აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მუშაობაა, როცა ბავშვთა მოტივაცია ახლობლებზე ზრუნვისკენაა მიმართული. ამ დროს შეიძლება მეტი ყურადღება მივაქციოთ ბავშვთა ესთეტიკური გემოვნების განვითარებას, გამომეტყველებით კითხვას, პლასტიკურ გამომსახველობას და ა.შ. მაგრამ, ამავე დროს, ბავშვს უნდა ეყურებოდეს რას, როგორ და რისთვის ასრულებს. არ ვარგა, როცა ბავშვებს ჩვენს მიერ შეთხზული სცენარის სიტყვებს ვაზეპირებინებთ. უმჯობესია მათვე შევუთანხმოთ, რა სიტყვებით მივმართოთ უფროსებს, რა შევასრულოთ მათ გასახარად, როგორი დეკორაციები მოვამზადოთ, როგორი კოსტუმები შევიკეროთ.

ზეიმს ვატარებთ საზეიმო ვითარებაში.

ესწრებიან მშობლები, ახლობლები, საბავშვო ბალის აღმზრდელები, სწავლის ბავშვები.

ზეიმის ხელმძღვანელი აღმზრდელი ეხმარება ბავშვებს მხატვრული ნომრების შესრულებაში, ამხნევებს მათ, უწონებს გამოსვლებს, შეახსენებს სიტყვებს და ა.შ. აქეზებს აუდიტორიას ტაშით, სიხარულით შენვდნენ და გააცილონ შემსრულებელი.

ზეიმი 20-30 წუთი გრძელდება.

მეორე-მესამე დღეს, როცა ბავშვები კვლავ მოვლენ საბავშვო ბალში, ვმართავთ მათთან საუბარს: რა თქვეს მშობლებმა, რა მოეწონათ, რა გაიოცეს. ამასთან ბავშვებთან პირობას ვკრავთ, რომ გულმოდგინედ ვიშრომებთ და მომავალ ზეიმზე ახლობლებს ჩვენი ახალი წარმატებებით გავახარებთ.

საბავშვო ბალში წლის მანძილზე 5-6 ზეიმი ტარდება.

მშობლებთან ურთიერთობა

მშობლები იცნობენ საბავშვო ბალის კონცეფციას, ღებულობენ მას და ცდილობენ საოჯახო აღზრდა ჰუმანური პედაგოგიკის ძირითად იდეებს დაუქვემდებარონ.

მშობლებს, მათი პედაგოგიზაციის მიზნით, აგრეთვე იმ მიზნით, რომ მათთან სრული ურთიერთგაგება დაგვიმყარდეს და მათი ნდობა და აღიარება დავიმსახუროთ, წებას ვრთავთ დაესწრონ (ვისაც ამის სურვილი აქვს) ჩვენს მეცადინეობებს ბავშვებთან; ზოგჯერ კიდევაც ვიწვევთ მათ, რომ ჩვენი მასტერ-კლასი ვუჩვენოთ. ვახორციელებთ პირდაპირ ინტერნეტ ვიდეო ტრანსლირაციას ბალიდან ონლაინ რეჟიმში, საშუალებას ვაძლევთ მშობლებს გამოთქვან ჩვენი პედაგოგიური მიღვომის მიმართ საკუთარი აზრი, საჭიროების შემთხვევაში ვუხსნით და განვუმარტავთ ჩვენი აღმზრდელობითი მუშაობის ხელოვნებას. არ

ვეკამათებით, ვცდილობთ გავაგებინოთ რას და როგორ ვაკეთებთ, ან, თუ მათი აზრი სწორი აღმოჩნდება, მადლობით ვდებულობთ. პედაგოგიურ საკითხებს, აღმზრდელობით პრაქტიკას განვიხილავთ ჰუმანური პედაგოგიკის იდეებზე დამყარებით.

მშობლები ჩვენთან ურთიერთობაში წედავენ, გრძნობენ, რა საფუძვლიანად გვესმის ეს პედაგოგიკა და ოსტატურად ვიყენებთ მას. მშობლები წედავენ აგრეთვე აღმზრდელის დახვეწილი, ამაღლებულ კულტურას, ურთიერთობის ეთიკას, განათლებულობას, ბავშვების ცოდნას, მათდამი სიყვარულსა და ერთაგულებას. ასეთი აღმზრდელი მშობელთათვის საოჯახო აღზრდის კონსულტანტიც გახდება. სკოლამდელ ბავშვთა მშობლების უმრავლესობა, ჩვეულებრივ, ახალგაზრდები არიან, შვილების აღზრდის ნაკლები გამოცდილება აქვთ. თუ აღმზრდელი შეძლებს, რომ ბავშვის აღზრდაში კეთილი დარიგება მისცეს, ამით მათ დიდ სამსახურს გაუწევს.

აღმზრდელი არასოდეს დაამცირებს ბავშვს მშობლის თვალში.

აღმზრდელი არასოდეს დააბეჭდებს ბავშვს მშობელთან და არ წააქეზებს მას ბავშვის წინააღმდეგ,

აღმზრდელი არ მისცემს თავის თავს ნებას, რომ მშობელს ქედმაღლურად შეხვდეს.

პირიქით, იგი ცდილობს გააცნოს მშობელს ბავშვი მისი საუკეთესიო შესაძლებლობებით და დაარიგებს, რა გზებით განავითაროს იგი.

პროფესიული სემინარი

აღმზრდელთა პროფესიული განვითარების მიზნით საბავშვო ბალის "ბასტი ბუბუს" ხელმძღვანელობა აწესებს მუდმივმოქმედ სემინარს, რომელიც მონაწილეობას ღებულობს ყველა აღმზრდელი (ასევე მომსახურე პერსონალიც). სემინარს ხელმძღვანელობს ის მუშაკი, რომელიც უკეთ ერკვევა ჰუმანური პედაგოგიკის საფუძვლებში. სემინარი ტარდება თვეში ერთხელ. აღმზრდელები განიხილვენ საბავშვო ბალში აღმზრდელობითი მუშაობის ამა თუ იმ საკითხს, უღრმავდებიან პედაგოგიურ იდეებს, ბავშვის ფსიქოლოგიას, აზოგადებენ საკუთარ გამოცდილებას, სრულყოფებ მას, თავიდან იცილებენ მოსალოდნელ შეცდომებს.

მუდმივმოქმედი სემინარის ფარგლებში ტარდება მასტერ-კლასები, კონფერენციები, განხილვები, მეთოდური თათბირები.

წელიწადში ორჯერ ცხადდება მეთოდური დღე, როცა ყველა აღმზრდელი ცდილობს ჩვეულებრივი მუშაობის პირობებში დანარჩენებს უჩვენოს თავისი მიღწევები აღმზრდელობით-საგანმანათლებლო მუშაობის ამა თუ იმ სფეროში.